სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N281/2017

ქ. თბილისი "25" სექტემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „იმპექსფარმი" წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით კოხრეიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 სექტემბრის N1951 განკარგულების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **400,000 მლ** (4,000 ცალი 100 მლ-იანი ფლაკონი) **საინექციო ხსნარის მიწოდება** გამარტივებული შესყიდვის წესით.

2.2 ნატრიუმის ქლორიდის 0,9%-იანი იზოტონური, საინექციო ხსნარი დაფასოებული უნდა იყოს 100 მლ მოცულობით პოლიეთილენის ფლაკონებში. ფიზიოლოგიური ხსნარი არის ნატრიუმის ქლორიდის (სუფრის მარილი) წყალხსნარი - 100მლ ხსნარზე 0,9გრ ნატრიუმის ქლორიდი. პრეპარატის დახასიათება: უფერო გამჭვირვალე სითხე. ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს პრეპარატის დასახელება, რაოდენობა, შემადგენლობა, ვარგისობის ვადა, შენახვის პირობები, მწარმოებლის დასახელება და მისამართი.

2.3. CPV33692500

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3,240 (სამი ათას ორას ორმოცი) ლარსა** .

3.2. ერთი ცალი 100 მლ-იანი ფლაკონი - 0.81 ლარი;

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

3.4. ხელშეკრულება ფინანსდება სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის **„ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია"-ს** ფარგლებში;

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 **400,000 მლ** (4,000 ცალი 100 მლ-იანი ფლაკონი) **საინექციო ხსნარის მიწოდება** უნდა განახორციელდეს არაუგვიანეს 2017 წლის 28 სექტემბერს.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია – სურსათის ეროვნული სააგენტო, თბილისი, მარშალ გელოვანის N6.

5. მოწოდებული საქონლის შემოწმება და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიწოდებისას, შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირები მოახდენენ მიწოდებული საქონლის შესაბამისობის შემოწმებას ხელშეკრულების პირობებთან (რაოდენობა, მთლიანობა, მახასიათებლები, ტემპერატურული რეჟიმის დაცვა და ა.შ.), რის შემდეგაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისი ღირებულების ასახვით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები იქნებიან კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმისდა მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. შემსყიდველს მიაწოდოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლების მქონე დადგენილი ხარისხისა და სტანდარტების საქონელი;

7.4.2. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7.4.3. დაიცვას გამხსნელის ინსტრუქციით გათვალისწინებული შენახვის პირობები.

7.4.4. უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან საქონლის მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში. შეფუთვამ უნდა გაუძლოს ინტენსიურ ამწევ-გადასატვირთ ზემოქმედებას, გადატვირთვის დროს ნალექის ზემოქმედებას, ასევე, ღია ცის ქვეშ შენახვას. საქონელი უნდა იყოს შეფუთული და მარკირებული საერთაშორისო სტანდარტების თანახმად; შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს პრეპარატების სავაჭრო სახელწოდება, წონა, დაფასოების თითოეულ ერთეულზე მითითებული უნდა იყოს პარტიის ნომერი, გამოშვების ვადა.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი;

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

8.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, საერთაშორისო სტადნარტებისა და ხელშეკრულებაში მითითებული მოთხოვნების სრულ შესაბამისობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათავლისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 6.3. პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 20 დღის განმვლობაში;

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.4. თუ ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, შემსყიდველ უფლება აქვს ცალხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.5. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ, ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ, ზემოაღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ, არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განხლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	შ.პ.ს. „იმპექსფარმი"
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის N6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	ს.კ. 204927909 იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო ბაქტერიოფაგის ჩასასვლელი გზის მიმდებარედ ბანკის რეკვიზიტები: ს.ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 IBAN GE42GB0000000893607801
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი	დირექტორი დავით კოხრეიძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს "იმპექსფარმი"** -ს მიმართ ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენო"-ს
უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ვეტერინარიის დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირები:

1. ოთარ პარკაძე ----------
2. თენგიზ ჩალიგავა ----------
3. ვლადიმერ ბარათაშვილი ----------
4. ნანა გოდაბრელიძე ----------